

**შეთანხმება**  
**საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას**  
**შორის**  
**საქართველოში გარემოს დაცვის მონიტორინგისა და მენეჯმენტის**  
**სისტემების განვითარების შესახებ**

საქართველოს მთავრობა ("საქართველო") და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობა ("ფინეთი"), ერთობლივად მოხსენიებული როგორც "მხარეები",

სურთ რა მათ სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის არსებული მეგობრული კავშირების გაძლიერება;

იხსენებენ რა ათასწლეულის დეკლარაციის და ათასწლეულის განვითარების მიზნებს,

ადასტურებენ რა, რომ უკიდურესი სიღატაკის აღმოფხვრა მხარეებს შორის თანამშრომლობის უმთავრესი ამოცანაა,

კიდევ ერთხელ ადასტურებენ რა მათ მხარდაჭერას თანამშრომლობის განვითარების მიზნით საქმიანობის პარმონიზაციის მიმართ,

აცნობიერებენ რა, რომ საქართველოში გარემოს დაცვის მონიტორინგისა და მენეჯმენტის სისტემების განვითარების სრული პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს,

საქართველოში გარემოს დაცვის მონიტორინგისა და მენეჯმენტის სისტემების განვითარებასთან დაკავშირებით თანხმდებიან შემდეგზე:

**მუხლი I**  
**სფერო და მიზანი**

1. პროექტის ზოგადი მიზანია საქართველოში გარემოს დაცვის მონიტორინგისა და მენეჯმენტის სისტემების და შესაძლებლობების გაძლიერება და განვითარება.
2. პროექტი განხორციელდება პროექტის დოკუმენტისა და პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად, რომლებიც დათარიღებულია 2006 წლის ოქტომბრის თვით და თანდართულია ამ შეთანხმებაზე როგორც დანართი IV, ასევე - წლიური სამუშაო გეგმებისა და ბიუჯეტების შესაბამისად, რომლებიც ორმხრივად შეთანხმდება მხარეებს შორის.

**მუხლი II**  
**თანამშრომლობის პრინციპები**

1. ადამიანის უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპები, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა არის მხარეებს

შორის თანამშრომლობის საფუძველი და ამ შეთანხმების განხორციელების აუცილებელი ნაწილია.

2. პროექტი განხორციელდება გამჭირვალობისა და ღია დიალოგის პრინციპების დაცვით.

### მუხლი III

#### კომპეტენტური ორგანოები და განმახორციელებელი სააგენტო

1. ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი საქართველოში ფინეთის საგანგებო დაავალებათა ელჩით, და საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო იქნებიან კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ შესაბამის მთავრობებს ამ შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ასევე უფლებამოსილნი იქნებიან დადონ შეთანხმებები ამ პროექტის გაგრძელების თაობაზე, მათ შორის, პროექტის შესაძლო მომდევნო ეტაპებზე, რაც გავლენას არ მოახდენს მხარეების საერთო პასუხისმგებლობებზე.

2. პროექტის განხორციელების პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს.

### მუხლი IV

#### ფინეთის მიერ დაფინანსება

ამ პროექტის განხორციელებაში ფინეთის მთავრობის წილი 2006-2008 წლებში, გრანტის სახით და ფინეთის პარლამენტის მიერ ყოველწლიურად დამტკიცების საფუძველზე, შეადგენს მაქსიმუმ 680 155 (ექვსას ოთხმოციათას ასორმოდათხუთმეტი ათასი) ევროს. თუმცა, ეს წილი გამოიყენება მხოლოდ იმ ფაქტობრივი რაოდენობით, რომელიც აუცილებელია პროექტის დოკუმენტის შესაბამისად პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარად.

### მუხლი V

#### საქართველოს მიერ დაფინანსება

პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ფინანსური და სხვა რესურსი, რომელიც აჭარბებს ფინეთის წილს, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საქართველოს მიერ.

### მუხლი VI

#### შესყიდვები

1. ფინეთი განახორციელებს პროექტის დოკუმენტში აღწერილი დამხმარე სამუშაოების შესყიდვას და დადებს კონტრაქტს საკონსულტაციო სააგენტოსთან, რომელიც შეთანხმდება საქართველოსთან. პროექტისათვის საჭირო სხვა შესყიდვები განხორციელდება საქართველოსა და ფინეთს შორის შეთანხმების მიხედვით.

2. არ დაიშვება ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი შეთავაზება, საჩუქარი, თანხის გადახდა ან სარგებელი, რომელიც მიჩნეულია ან შესაძლოა მიჩნეული იქნეს უკანონო ან კორუფციულ ქმედებად და რომელიც წარმოადგენს სტიმულს ან ჯილდოს შესყიდვების კონტრაქტების მიღების ან განხორციელებისათვის.

3. ყველა შესყიდვა განხორციელდება საყოველთაოდ მიღებული პრინციპების საფუძველზე და საქონლის შესყიდვის პრაქტიკის მიხედვით. ტენდერში მიწვევები და ასევე შესყიდვის კონტრაქტები შესაბამისად უნდა შეიცავდეს დებულებას ტენდერის და კონტრაქტის გაუქმების შესაძლებლობის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც ნებისმიერი უკანონო ან კორუფციული ქმედება დაკავშირებული იქნება კონტრაქტის მიღებასთან ან განხორციელებასთან. გარდა ამისა, მყიდველისათვის მიყენებული ზიანი ან დანაკარგი კონტრაქტის გაუქმების შემთხვევაში კომპენსირებული უნდა იქნეს მიმწოდებლის მიერ.

## მუხლი VII ინფორმაცია

### 1. მხარეები:

- ა) სწრაფად მიაწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას ნებისმიერი მოვლენის ან სიტუაციის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროექტის განხორციელებაზე, და
- ბ) უზრუნველყოფენ, რომ ყველა შესაბამისი ორგანო და ორგანიზაცია ინფორმირებული იქნეს ამ შეთანხმებისა და პროექტის შესახებ.

2. ორივე მხარეს უფლება აქვს საზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია პროექტის შესახებ, მათ შორის, ამ შეთანხმების შესახებ.

3. პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ პუბლიკაციაში და სხვა მასალაში მითითებული უნდა იქნეს, რომ პროექტი ხორციელდება ან განხორციელებულია ფინეთის ფინანსური დახმარებით და ფინეთის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში.

## მუხლი VIII მონიტორინგი და ანგარიშგება

პროექტის განხორციელების შესახებ ანგარიშები უნდა შესრულდეს ამ შეთანხმებაზე დართული პროექტის დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმატით. ანგარიშები უნდა მომზადდეს ორმხრივად შეთანხმებული პრინციპების საფუძველზე.

## მუხლი IX აუდიტი

საქართველო ნებას დართავს ფინეთის წარმომადგენლებს ჩაატარონ ნებისმიერი ინსპექცია ან აუდიტი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ასეთი ინსპექცია ან აუდიტი შესაძლოა ინიცირებული იქნეს საქართველოს მიერ.

## მუხლი X კონსულტაციები

1. მხარეები ხელმისაწვდომნი იქნებიან ერთმანეთისათვის ორმხრივი კონსულტაციების მიზნით, რათა:

ა) განავითარონ თანამშრომლობა; და

ბ) შეაფასონ თანამშრომლობის მიზნების და ასევე პროექტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება.

2. მხარეები მიაწვდიან ერთმანეთს ყველა საჭირო ინფორმაციას კონსულტაციების მიზნით.

## მუხლი XI პასუხისმგებლობა

საქართველო პასუხისმგებელია ყველა იმ რისკზე, რომელიც წარმოიშევა ამ პროექტის შესრულებისას საქართველოში, ამ შეთანხმების თანახმად. საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელი იქნება საჩივრებზე თუ ასეთი წამოიჭრება ფინეთის, საკონსულტაციო სააგენტოების ან მათი პერსონალის რომელიმე წევრის ან ფინეთის მიერ დაქირავებული პირის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ექნება მათი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას, ან სხვაგვარად დაკავშირებული იქნება მასთან, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ორივე მთავრობის შეხედულებით, ასეთი საჩივრები ნებისმიერი წევრის ან ფინეთის მიერ დაქირავებული პირის მხრიდან უხეში დაუდევრობით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით.

## მუხლი XII შეჩერება

1. ორივე მხარეს უფლება აქვს, მეორე მხარესთან კონსულტაციის შემდეგ, სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს პროექტის დაფინანსება, თუ:

ა) რომელიმე მხარე მიიჩნევს, რომ მეორე მხარემ ვერ შეასრულა ამ შეთანხმების მე-2 მუხლით განსაზღვრული რომელიმე აუცილებელი ნაწილი;

ბ) მეორე მხარის მიერ დაფინანსება არ განხორციელდება ამ შეთანხმების და პროექტის დოკუმენტის შესაბამისად;

- კ) არ შესრულდება ნებისმიერი სხვა ვალდებულება ამ შეთანხმების ან პროექტის დოკუმენტის შესაბამისად;
- დ) პროექტის მენეჯმენტი მიჩნეული იქნება არადამაკმაყოფილებლად;
- ე) წარმოიშევა გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ან აფერხებს პროექტის/პროგრამის განხორციელებას ან პროექტის/პროგრამის მიზნებისა და ამოცანების მიღწევას;
- ვ) შეჩერება გამოწვეულია იმ გარემოებების ფუნდამენტური ცვლილებით, რომლებშიც დაიწყო პროექტი/პროგრამა.

2. შეჩერება შეწყდება დაუყოვნებლივ მას შემდეგ, როდესაც შეჩერების გამომწვევი გარემოება ან გარემოებები შეწყვეტს არსებობას.

3. ფინეთი ინარჩუნებს უფლებას, მოითხოვოს ფინეთის წილის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება, თუ ჩათვლის, რომ ეს ფინანსები არასწორად იქნა გამოყენებული ან დამაკმაყოფილებლად არ იქნა აღრიცხული.

### მუხლი XIII საქონელი

1. პროექტის მიზნებისათვის ამ შეთანხმების შესაბამისად საქართველოში შესყიდული ან იმპორტირებული საქონელი იქნება პროექტის ექსკლუზიურ განკარგულებაში.

2. საქონელი გახდება საქართველოს საკუთრება პროექტის დასრულების შემდეგ, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

### მუხლი XIV სპეციალური დებულებები

1. პირობები, რომლებიც ეხება საკონსულტაციო სააგენტოებს, პერსონალს და საქონელს, განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმების I-III დანართებით, რომლებიც ამ შეთანხმების განუყოფელი ნაწილია.

2. საქართველო უზრუნველყოფს საკონსულტაციო სააგენტოებს, მათ პერსონალს, ფინეთის მიერ დაქირავებულ პირებსა და აგრეთვე მათ ოჯახებს (პერსონალის მეუღლეები და შვილები) ისეთივე მოპყრობის სტანდარტებს, როგორიც გათვალისწინებულია ნებისმიერი სხვა ქვეყნის განვითარების სააგენტოების პერსონალისათვის.

3. მხარეთა სხვა მოვალეობები განისაზღვრება პროექტის დოკუმენტით.

4. მხარეებს უფლება აქვთ განახორციელონ შეფასება პროექტის განხორციელების დროს და მისი დასრულების შემდეგ.

5. პროექტის დაგეგმვის და შეფასების ორმხრივად შეთანხმებული საქმიანობა პროექტის განუყოფელი ნაწილია და რეგულირდება ამ შეთანხმების დებულებებით.

მუხლი XV

ძალში შესვლა, შეწყვეტა, შესწორებები და დაკების გადაწყვეტა


1. ეს შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ ნოტების გაცვლის გზით განხორციელებული უკანასკნელი შეტყობინების მიღების დღიდან 30 დღის შემდეგ და ძალაში რჩება მხარეთა მიერ მისი დებულებებით განსაზღვრულ ვალდებულებათა სათანადოდ შესრულებამდე, თუ რომელიმე მხარემ ან განაცხადა მისი შეწყვეტის შესახებ, შეწყვეტის ვადამდე სამი თვით ადრე.

2. წინამდებარე შეთანხმებაში მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომელიც ფორმდება ცალკე ოქმების სახით და ძალაში შედის წინამდებარე შეთანხმების მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული სახით მიღებული ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

3. ამ შეთანხმების ინტერპრეტაციისას ან განხორციელებისას წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მეგობრულად, კომპეტენტური ორგანოების მოლაპარაკებების საფუძველზე.

შესრულებულია თბილისი (ადგილი) 14 ივნისი 2007 (თარიღი) ორ დედად, თითოეული ქართულ და ინგლისურ ენაზე. ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია. შეთანხმების დებულებათა განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის  
სახელით



ფინეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

